



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
 ოქმი N22**

ქ. მარნეული

24.11.2017 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ნოდარ მთვარელიძე, ზურაბ ფანგანი, გივი გიორგაძე, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, თორნიკე გოგლიძე, ნადირ გულიევი, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ლევონ აკოპიანი, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი, როფშან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, აივაზ ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ილხამ გასანოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

არ ესწრებოდა:

ზურაბ ჭონიაშვილი, ვანო ბურნაძე, რამინ ალახვერდიევი, აშრაფ ტუკანოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, აკმამედ იმამკულიევი,

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა.
2. საკრებულოს კომისიების დებულებების დამტკიცება (საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით).
3. საკრებულოს ფრაქციის დაფუძნების ცნობად მიღება.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეობის კანდიდატურები. საკრებულოს წევრებმა რიჩარდ გიგანმა, ბესიკ გელენიძემ, ზურაბ ფანგანმა, დავით ხუციშვილმა, არსენ ახვერდიანმა, აშრაფ ტუკანოვმა, აივაზ ისკანდაროვმა, ომარ ირიშოვმა და ვანო ბურნაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს ბესიკ გუჯეჯიანის კანდიდატურა. საკრებულოს წევრებმა გივი გიორგაძემ, ნიკოლოზ გოგოჭურმა, ზურაბ ჭონიაშვილმა, ნადირ გულიევმა, ვანო ბურნაძემ, ლევონ აკოპიანმა, ომარ ირიშოვმა, ბესიკ გუჯეჯიანმა, ნოდარ მთვარელიძემ, ბესიკ გელენიძემ, გეიდარ მუსაევმა და რიჩარდ გიგანმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს რომან ტაბატაძის კანდიდატურა. საკრებულოს წევრებმა ვანო ბურნაძემ, დავით ხუციშვილმა, ბესიკ გუჯეჯიანმა, არსენ ახვერდიანმა, არამ კარაპეტაიანმა, ზურაბ ფანგანმა, ნოდარი მთვარელიძემ, ალი მურადოვმა, აშრაფ ტუკანოვმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს რიჩარდ გიგანის კანდიდატურა. საკრებულოს წევრებმა ნიკოლოზ მუმლაძემ, ვანო ბურნაძემ, რომან ტაბატაძემ, გეიდარ მუსაევმა, ომარ ირიშოვმა, ილხამ გასანოვმა, მირკაზუმ იაგუბოვმა, ნიკოლოზ გოგოჭურმა და გივი გიორგაძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს ნოდარი მთვარელიძის კანდიდატურა. საკრებულოს წევრებმა ბესიკ გელენიძემ, რომან ტაბატაძემ, რიჩარდ გიგანმა, გეიდარ მუსაევმა, არსენ ახვერდიანმა, როვშან ისკანდაროვმა, ჰუსეინ ჰუსეინოვმა, თორნიკე გოგლიძემ და ნოდარი მთვარელიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს გივი გიორგაძის კანდიდატურა. კომისიების თავმჯდომარეობის დასახელებული კანდიდატების თანხმობის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეობის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 28 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია რომან ტაბატაძე. 27 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია რიჩარდ გიგანი. 28 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ბესიკ გუჯეჯიანი. 27 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია გივი გიორგაძე. 27 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ნოდარი მთვარელიძე. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2017 წლის 24 ნოემბრის სხდომის N3 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N98. 24.11.2017 წ.)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების დებულებები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები: N46, N47, N48, N49, N50. 24.11.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ბესიკ გელენიძემ საკრებულოს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით საკრებულოს 31 წევრმა შექმნა ფრაქცია „ქართული ოცნება“, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია ბესიკ გელენიძე, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულება N99. 24.11.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე